ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის

თინათინ ნიბლოშვილის

ანგარიში

2024-2025 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ჩემ მიერ, 2024 წლის პირველი ნოემბრიდან 2025 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს (შემდგომში - საკრებულო) პროპორციული წესით არჩეული წევრის უფლებამოსილების ფარგლებში, გაწეული მუშაობის შესახებ. ზემოაღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ვიკავებდი შემდეგ თანამდებობას/პოზიციას:

- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი;
- საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი;
- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრი.

საკრებულოს წევრის მანდატით, საანგარიშო პერიოდში, ჩართული ვიყავი დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში - სხდომების, სხვადასხვა შეხვედრის მიმდინარეობასა და საკრებულოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ვესწრებოდი ადგილობრივ, სახელმწიფო თუ კერძო უწყებებში გამართულ სამუშაო პროცესებს, მათ შორის, ონლაინ პლატფორმების საშუალებით. საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად ვმონაწილეობდი ადგილობრივ მოსახლეობასთან გასვლით შეხვედრებში. რიგი საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევის მიზნით, კოორდინაციაში ვიყავი სხვადასხვა სამსახურთან. გავმართე არაერთი პირადი შეხვედრა/მიღება და სხვა აქტივობა.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, საანგარიშო პერიოდში თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტისა და მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული საკითხების დადებითად გადაწყვეტას/დამტკიცებას, რომელთა ფარგლებში საკრებულომ 112 დადგენილება და 780 განკარგულება მიიღო. მუნიციპალური საკითხების განსახილველად საანგარიშო პერიოდში დავესწარი ბიუროს 16 და საკრებულოს 16 სხდომას.

ქალაქის მასშტაბით კულტურის სფეროსა და თეატრალური პროექტების დაფინანსების, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების განთავსების, საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების, ასევე სხვადასხვა საკონკურსო განაცხადის განხილვის მიზნით, წლის განმავლობაში ჩართული ვიყავი დედაქალაქის მერიის შესაბამისი კომისიებისა და საბჭოს სამუშაო პროცესებში, რომელთა წევრიც ვარ:

- თეატრალური პროექტების განმხილველი კომისია;
- კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია;
- პროგრამის - „შემოქმედებითი თბილისი“ - ფარგლებში წარდგენილი საკონკურსო განაცხადების განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის (პროექტების) განმხილველ კომისია.

საქმიანობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში

თანამშრომლობა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებთან

რამდენადაც, დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს მოქალაქეთა ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში, რაშიც მნიშვნელოვანი როლი სტუდენტობას აკისრია და ამასთან, სტუდენტური საზოგადოების აქტივობა ახალგაზრდების პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ინტეგრაციის საწინდარია, ამდენად, საანგარიშო პერიოდში, დედაქალაქის საკრებულოში პერიოდულად ეწყობოდა საინფორმაციო და გაცნობითი ხასიათის შეხვედრები სტუდენტთა ჯგუფებთან, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელებთან. ახალგაზრდებთან სხვადასხვა დროს გამართულ შეხვედრებზე ვისაუბრეთ დეცენტრალიზაციაზე, როგორც ქვეყნის მართვის ეფექტურ მოდელსა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გასათვალისწინებლად მმართველობის ოპტიმალურ სისტემაზე.

სტუდენტებთან სხვადასხვა დროს გამართულ შეხვედრებზე განვიხილეთ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეები, მათი განხორციელების ფორმები და მექანიზმები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის წესი და პროცედურები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების თავისებურებები, მუნიციპალური ქონების კატეგორიები, შექმნისა და განკარგვის წესები და სხვა. ინტერაქტიულ რეჟიმში წარმართულ შეხვედრებზე სტუდენტებს ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე, დედაქალაქის

წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობის მოდელზე, სტრუქტურასა და გადაწყვეტილების მიღების წესზე. დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვის ფორმებსა და მიწოდების ვადებზე. ყურადღება გამახვილდა მოქალაქეთა მიღებაზე და მათი ინტერესებისა და საჭიროებების გასათვალისიწინებლად მათსავე ჩართულობაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ საკრებულოს ისტორიული შენობის ისტორიას და დაეთვალიერებინათ წარმომადგენლობითი ორგანო.

ერთ-ერთი შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალთა საზოგადოების წარმომადგენლებსა და სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს დაეთმო. შეხვედრის ფარგლებში, ახალგაზრდების ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულობასა და თვითმმართველობის დონეზე ქალთა ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების მნიშვნელობის შესახებ ვიმსჯელეთ. სტუმართა მხრიდან გამოითქვა მზადყოფნა, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისათვის თანამშრომლობის გაგრძელების თაობაზე, მათ შორის, ახალგაზრდებისათვის მუნიციპალიტეტის საქმიანობის, პრიორიტეტებისა და მუნიციპალური სერვისების მიმართულებით ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით.

საკრებულოს წევრებთან ერთად დავესწარი საქართველოს სტუდენტური პარლამენტის და მთავრობის ყოველწლიურ შემაჯამებელ კონფერენციას, სადაც ის პროექტები და ანგარიშები მოვისმინეთ, რომლებზეც ახალგაზრდული ორგანიზაციები მუშაობდნენ. რამდენადაც, საანგარიშო პერიოდში სტუდენთებთან მჭიდრო თანამშრომლობის პრაქტიკა გვქონდა, კონფერენციაზე ჩემი სიტყვით გამოსვლა დაეთმო ახალგაზრდული იდეების/ინიციატივების მნიშვნელობასა და მათ ჩართულობას ქვეყნის მართვის პროცესში. ამრიგად, კონფერენციაზე შესაძლებლობა მომეცა დედაქალაქის საკრებულოს მხრიდან

ახალგაზრდებისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამეცხადებინა და მათთან თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავების თაობაზე მზაობა გამომეხატა.

თანამშრომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო თბილისის მერიის მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი“ განმახორციელებელ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან/პროფესიულ სასწავლებელთან მჭიდრო კოორდინაციასა და თანამშრომლობას. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2018 წლიდან მოქმედებს, მუნიციპალიტეტის მიერ იშვიათი და მოთხოვნადი პროფესიები ფინანსდება. პროგრამის მიზანია სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების სწავლება მოკლვადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და მათი დასაქმების ხელშეწყობა. პროგრამა ითვალისწინებს თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეების პროფესიულ მომზადება/გადამზადებას შრომის ბაზარზე მოთხოვნად არაერთ სპეციალობაში - მშენებლობის, ინჟინერიის, სურსათის ტექნოლოგიის, ტურიზმის მომსახურების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, დიზაინის, ტრანსპორტის, საფინანსო, ჯანდაცვის, ვეტერინარიის სფეროებში და სხვა. ამდენად, დედაქალაქის მერიის ზემოხსნებული პროგრამისა და აღნიშნული სპეციალობების პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში არაერთი აქტივობა გაიმართა.

ქალთა ისტორიის თვის (მარტის) კამპანიის ფარგლებში, მრავალშვილიანი დედებისა და მათი შვილებისათვის კოლეჯ „სპექტრში" თიხაზე მუშაობის მასტერკლასი მოეწყო, სადაც ისინი თიხასთან მუშაობის ტექნიკას დაეუფლენ და ძერწვის პრინციპებს გაეცნენ. მასტერკლასს კოლეჯ „სპექტრის" პედაგოგი, კერამიკოსი გრიგოლ მუმლაძე უძღვებოდა. ღონისძიების მიზანი იყო მრავალშვილიანი ოჯახების მხარდაჭერა, მათი სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება პრაქტიკული უნარების მიწოდების გზით. მასტერკლასზე დედებს შესაძლებლობა მიეცათ, აღმოეჩინათ და შეესწავლათ ახალი შემოქმედებითი უნარები მათი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობისათვის. მასტერკლასი საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, ნინო წილოსანის, ინიციატივით და თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა.

კოლეჯ „სპექტრთან“ დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაციისათვის, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სადურგლო საქმეში პროფესიული კადრების მომზადების, დახელოვნებისა და განვითარებისათვის განსაკუთრებული ნაბიჯი იქნება კოლექ „სპექტრში“ დურგალთა საწარმოს დასაფუძნებლად შესაბამისი ინიციატივა, რაც, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, კოლეჯ „სპექტრის" კანონიერ სარგებლობაში არსებული შენობის შპს „დურგალთა სკოლისათვის" 15 წლით სარგებლობაში, უსასყიდლოდ გადაცემას გულისხობს - მასში „სადურგლო საქმის" მიმართულებით ახალი სასწავლო საწარმოს კეთილმოსაწყობად. ამრიგად, ზემოხსენებული ინიციატივისა და კოლეჯ „სპექტრის“ მხარდაჭერის, მათთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით, საანგარიშო პერიოდში დავესწარი ზემოხსენებული საკითხის უზუნველსაყოფად კოლეჯ „სპექტრის“ მიერ შესაბამის უწყებებთან სამმხრივი მემორანდუმის გაფორმებას.

მომდევნო ვიზიტით კოლეჯ „მერმისს“ ვეწვიეთ - შევხვდით კოლეჯის ადმინისტრაციას და სასწავლო დაწესებულების დირექტორთან, ნონა ღუდუშაურთან ერთად სასწავლო პროცესს გავეცანით. აღსანიშნავია, რომ კოლეჯ „მერმისში" სწავლება ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, ევროპული სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს, რაც პროფესიულ სასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველყოს ვიწრო სპეციალიზაციის კვალიფიციური კადრები. აღნიშნული კი, ერთი მხრივ, სამუშაო ძალის გაჩენასა და დასაქმების მაჩვენებლის ზრდას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი - ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას.

მოგვიანებით, დედაქალაქის საკრებულომ კოლეჯ „მერმისის“ მოკლევადიანი პროგრამების მსმენელთა ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლა, სადაც წარმოდგენილი იყო სწავლების პერიოდში შექმნილი ქვილთის, ტყავისა და მინანქრის ნაკეთობები. გამოფენას კოლეჯ „მერმისის“ დირექტორი, კურსდამთავრებულები, თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თანამშრომლობა თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოსთან

თბილისის საკრებულოში ფუნქციონირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან თბილისში მცხოვრები სხვადასხვა თემის წარმომადგენლები. აღნიშნული საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს დედაქალაქში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. საბჭო აქტიურად მუშაობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინების, მათი უფლებების სამართლებრივი მხარდაჭერის, შრომის ბაზარსა და ეკონომიკურ პროცესებში მათი სრულფასოვანი ჩართულობის ხელშეწყობის, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, კულტურული თუ სოციალური ინკლუზიის დაცვის კუთხით. ამდენად, საბჭოს საქმიანობა ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების ინტეგრირებას საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

საანგარიშო პერიდოში, ზემოხსენებულ საბჭოსთან მჭიდრო თანამშრომლობითა და კოორდინაციით არაერთი ღონისძიება გავმართეთ, რომელიც დედაქალაქის მრავალფეროვანი ეთნოსის წარმოჩენას, მათი ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნება-პოპულარიზაციის ხელშეწყობას ემსახურებოდა.

თბილისის საკრებულოში კინორეჟისორისა და ხელოვანის, სერგო ფარაჯანოვის, სახელობის შემოქმედებითი კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა და დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა, სადაც დედაქალაქის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებმა კონკურსის მონაწილეებს პრიზები და სიგელები გადავეცით. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოში სომხეთის რესპუბლიკის ელჩი. აღსანიშნავია, რომ სერგო ფარაჯანოვის სახელობის შემოქმედებითი კონკურსი 2015 წლიდან იმართება და სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად.

დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში „თბილისის მეგობრობის სახლისა“ და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადავეცით. ღონისძიებაზე, რომელიც თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს თანადგომით ჩატარდა,

აღინიშნა, რომ ზემოხსენებული პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და უზრუნველყოფს თანასწორ შესაძლებლობებს ყველასთვის - განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა და ხელს უწყობს ენობრივ ინტეგრაციას საზოგადოებრივი თუ პროფესიული ცხოვრების ყველა სფეროში. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვნად ახალისებს სახელმწიფო ენის ცოდნას და ემსახურება ეთნიკური მრავალფეროვნების პატივისცემას. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ხელმძღვანელმა და „თბილისის მეგობრობის სახლის“ სახელმწიფო ენის პროგრამის კოორდინატორმა. სერტიფიკატებით დაჯილდოების ცერემონიას კურსდამთავრებულებთან ერთად ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გარი დავთიანის მარიონეტების საოჯახო თეატრის დაარსებიდან 32 წლის აღსანიშნად, თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარესა და ამავე საბჭოს წევრ, სომხური თემის წარმომადგენელთან ერთად გარი დავთიანის საოჯახო თეატრს ვესტუმრეთ. ძველი თბილისური ეზოს სახცოვრებელი სახლის საუცხოო გარემოში განთავსებულ საოჯახო თეატრში გარი დავთიანის მეუღლემ, ჟანა დავთიანმა გვიმასპინძლა, რომელმაც თეატრის შექმნის ისტორია და გარი დავთიანის შემოქმედება გაგვაცნო. მანვე წარმოგვიდგინა არსებული უნიკალური თოჯინები და ჩვენთვის თეატრალიზებული წარმოდგენა გამართა.

სხვადასხვა აქტივობა

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) ორგანიზებით, ქალაქ ბათუმის მერიაში გამართულ, თვითმმართველი ქალაქების თემატური ჯგუფის სამუშაო შეხვედრაში, რომელიც ჰიბრიდულ რეჟიმში წარიმართა და მის მუშაობაში, თვითმმართველი ქალაქების მერებსა და საკრებულოების წევრებთან ერთად ჩართულნი იყვნენ აგრეთვე უცხოელი ექსპერტები. შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერება ევროინტეგრაციის პროცესში, განათლების მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავება და საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების გაფართოება. შეხვედრის თემები იყო ევროკავშირთან ასოცირების პროცესის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობები, მათ შორის, IPA პროგრამები, სტრუქტურულ ფონდები და რეფორმების დღის წესრიგი, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების მდგრად განვითარებასა და გაძლიერებას ემსახურება. ათეა-ს პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა სახელმძღვანელო დოკუმენტი წარადგინეს და მუნიციპალიტეტების ინტერესების ადვოკატირების მიმართულებით რეგიონის გამოცდილება გაგვიზიარეს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც დადგინდა ზემოხსენებული საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და ამოცანები, საბჭოს უფლებამოსილება, სტრუქტურა, საქმიანობის წესი და სხვა. საბჭოს დებულების თანახმად, მისი საქმიანობის ძირითად მიზნად განისაზღვრა მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის და ქალისა და მამაკაცის არსებითი თანასწორობის ხელშეწყობა. საბჭოს დებულების ფორმირების პროცესში აღსანიშნავია საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) როლი, რამდენადაც, ხსენებული ორგანიზაციის ხელშეწყობით არაერთი სამუშაო შეხვედრა მოეწყო, მათ შორის, ონლაინ ფლატფორმის საშუალებით, რომლის მუშაობაში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, იურისტებსა დარგის ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობა მივიღეთ თბილისის საკრებულოს წევრებმა.

შეხვედრებზე მუხლობრივად განვიხილეთ დებულების პროექტი და ვიმსჯელეთ საბჭოს კომპეტეციისა და უფლებამოსილების სფეროებზე, განისაზღვრა საბჭოს სტრუქტურა და სხვა. დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო რეგიონების სოციალური და სამართლებრივი საკითხები, რაც ადგილობრივი მმართველობის პრაქტიკასთან დოკუმენტის უკეთ შესაბამისობას უზრუნველყოფს. მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მიერ გაზიარებულმა გამოცდილებამ და პრაქტიკაზე დაფუძნებულმა ხედვებმა კი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დებულების ძირითადი არსის ჩამოყალიბებას.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე მდგრადი განვითარების რეგიონული ფორუმის (TBILISI RFSD) სახელწოდებით - „მშვიდობის როლი მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“ ფარგლებში გამართულ სესიაზე: „ქალი მეწარმეების ეკონომიკური გაძლიერება და თანასწორუფლებიანობა“, სადაც ჩემი მოხსენება დაეთმო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გაადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯებს.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში „ქალთა დასაქმების ფორუმი“ ჩატარდა, რომელიც საქართველოს პარლამენტის ქალი დეპუტატების ინიციატივით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით გაიამრთა. ფორუმზე წარმოდგენილი იყო 30-ზე მეტი სხვადასხვა სფეროს კომპანია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან - 800-მდე აქტიური ვაკანსიით. ფორუმზე ქალბატონებს შესაძლებლობა მიეცათ ერთ სივრცეში შეხვედროდნენ დამსაქმებლებს და გასცნობოდნენ შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებსა და კომპანიების შემოთავაზებებს. დაინტერესებულ პირებს ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია თავად კომპანიების წარმომადგენლებმა მიაწოდეს. ღონისძიება ქალთა ისტორიის თვის

(მარტის) კამპანიის ფარგლებში გაიმართა და ეკონომიკურად მოწყვლადი ქალების გაძლიერებასა და გააქტიურებას მიეძღვნა.

აფხაზეთიდან დევნილი მეწარმე ქალების საქმიანობის მხარდაჭერის, მათ მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა თუ სხვადასხვა პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, ვაკის რაიონში, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ გამოფენა-გაყიდვა გავმართეთ, სადაც წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი მეწარმე ქალების მიერ, სხვადასხვა მასალისა და ნედლეულის გამოყენებით შექმნილი პროდუქცია და ხელნაკეთი ნივთები - დეკორატიული აქსესუარები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა.

თბილისის საკრებულომ მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა მიერ სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი ხელნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოში მსჯავრდებულთა ხელნაკეთი ნივთების პირველი მაღაზია „რე-მარკეტის“ პროდუქცია - მრავალფეროვანი აქსესუარები, ორიგინალური თუ დეკორატიული ნივთები და სხვა. ღონისძიების მიზანი იყო მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა, მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა ნამუშევრებისა და მაღაზია „რე-მარკეტის“ პოპულარიზაცია.

ოქტომბრის თვეში, თბილისის საკრებულოს წევრებთან ერთად ტრადიციულად ჩავერთე ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიაში - „ვარდისფერი ოქტომბერი“, რომელიც საქართველოში წლების განმავლობაში აღინიშნება პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველო“-სა და კავკასიის ონკოსაზოგადოება „ჰოუფი“-ს (H.O.P.E) ორგანიზებით, ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობითა და დედაქალაქის საკრებულოს მხარდაჭერით. რამდენადაც, ვარდისფერი კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს, ოქტომბრის თვე თბილისის სატელევიზიო ანძის, სიმბოლურად, ვარდისფრად განათებით დაიწყო. ძუძუს კიბოს შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ონკოპაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო ცოცხალი ჯაჭვი შევკარით. ღონისძიებაზე დარიგდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ, რომელიც დედაქალაქის მიერ ფინანსდება და შესაძლო ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის შესაძლებლობას იძლევა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დაავადების სწორ მართვასა და მისი გავრცელების შეზღუდვას, დაავადების პრევენციასა და რისკების შემცირებას.

სხვადასხვა დროს, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დავესწარი: თბილისის ურბანული და სატრანსპორტო პოლიტიკის; თბილისის ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის; თბილისის მერიის მიერ ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით განხორციელებული პროგრამების; თბილისის გარემოს დაცვის პოლიტიკის; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკის პრეზენტაციებს, სადაც ზემოხსენებული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული/მიმდინარე მასშტაბური პროექტების შესახებ ინფორმაცია დედაქალაქის მერმა, თბილისის აღმასრულებელი ორგანოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად წარადგინა. პრეზენტაციაზე გავეცანით დედაქალაქის განვითარებისათვის პრიორიტეტულ იმ პროგრამებსა და პროექტებს, რომელთა განხორციელება ემსახურება მუნიციპალური სიკეთის შექმნას - დედაქალის იერსახის მოწესრიგებასა და ისტორიული შენობების გამაგრება-რეაბილიტაციას, გარემოს დაცვისა და რეკრეაციული სივრცეების უზრუნველყოფას, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სპორტის მხარდაჭერასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებას, საგანმანათლებლო და კულტურის სფეროში მნიშვნელოვან იცინიატივებს და სხვა.

საქმიანობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრის რანგში

დედაქალაქში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას დაეთმო თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის საქმიანობა, რის შედეგადაც, სხვადასხვა დროს გამართულ სხდომებზე, კომისიამ მხარი დაუჭირა მუნიციპალიტეტში მიმდინარე არაერთი პროგრამის/პროექტის განხორციელებას. განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში გამართული სხდომებიდან მონაწილეობა მივიღე 14 მათგანის მუშაობასა და 26 საკითხის განხილვაში.

წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს გამართულ კომისიის სხდომებზე ვიმსჯელეთ დამსახურებული და გამოჩენილი პიროვნებების მემორიალური დაფების განთავსების საკითხებზე და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის დადებითი შეფასებები გადაეგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ სპეციალურ კომისიას. კომისიამ განიხილა შემდეგი პიროვნებების მემორიალური დაფის განთავსების საკითხები: საქართველოს სახალხო არტისტის, გამოჩენილი ქართველი მოცეკვავის, ქორეოგრაფის, ღირსების ორდენის კავალერისა და არაერთი საპატიო წოდების მფლობელის ომარ მხეიძის; კოტე მარჯანიშვილისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემის ლაურიეტის, ღირსების ორდენის კავალერის, სახალხო არტისტის, მსახიობ ქეთევან კიკნაძის; საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მოთავის, კონსტანტინე ანდრონიკაშვილის; გამოჩენილი მუსიკოსისა და საქართველოს დამსახურებული არტისტის, ალექსანდრე (ლექსო) თორაძის; საქართველოს დამსახურებული არტისტის, არაერთი საპატიო ჯილდოს და პრემიის მფლობელის, ღირსების ორდენის კავალერის, მომღერალ მერაბ დონაძის; მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, აკადემიკოსის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორისა და პროფესორის არჩილ ბეთანელის; თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ორგზის ჩემპიონის, თბილისის საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის ლაურეატისა და სხვა არაერთი საპატიო ჯილდოსა თუ წოდების მფლობელის, ვახტანგ ბალავაძის; საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძის; ქართველი მძლეოსნის, სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, გორგასლის II ხარისხის ორდენის ლაურეატისა და სხვა არაერთი საპატიო წოდებისა თუ ჯილდოს მფლობელის, ვიქტორ სანეევის.

კომისიის წევრებთან ერთად განვიხილეთ სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელისა და სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების საკითხები, რომლებიც დადებითი რეკომენდაციებით გადაეცა თბილისის საკრებულოს, რის

შემდეგაც, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის აღნიშნული საკითხები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ეგზავნება. საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მხარდაჭერილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივა საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი გახდება საჯარო სკოლას მიენიჭოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პირის სახელი, რომლის სამსახურებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის/სხვისი სიცოცხლის/ ჯანმრთელობის/ქონების/ბუნებრივი რესურსების/სახელმწიფო ინტერესების დაცვა ან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.

სხდომაზე გავეცანით ანგარიშს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის საჯარო ხელოვნების ფონდის“ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ფონდის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს: თანამედროვე ხელოვანებისა და არტისტების პოპულარიზაციას, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობას; გამოფენებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერას და მათი შემოქმედებით ზრდის წახალისებას; ღია კონკურსების მეშვეობით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას და სხვა. მოგვიანებით, კომისიის სხდომაზე მხარი დავუჭირეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ განხორციელების წესში შესატან ცვლილებებს, რომლის მოქმედი რედაქციით, დაფინანსებას ექვემდებარებოდა ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მიღებული და გამარჯვებული პროექტები, სადაც, პროექტის ძირითადი პარამეტრები - ლოკაცია, ბიუჯეტი და განხორციელების ვადები განსაზღვრული იყო ამავე ფონდის მიერ. ამდენად, სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებს შეზღუდული ჰქონდათ მოქმედების სფერო, ვინაიდან, დაინტერესებულ პირებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით წარედგინათ პროექტები მათთვის რელევანტურ ლოკაციაზე, მათ მიერ განსაზღვრული ბიუჯეტითა და ვადით. განხილული ინიციატივა კი ითვალისწინებდა სახელოვნებო პროექტების დაფინანსებას ხელოვანთა მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის საფუძველზე, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს თავად განსაზღვრონ ლოკაცია, ვადა და ბიუჯეტი. ამდენად, აღნიშნული ცვლილების შედეგად ზემოხსენებული წესის განხორციელებას ფონდი უზრუნველყოფს როგორც კონკურსის, ასევე საპროექტო განაცხადის განხილვის გზით. პროექტების შეუფერხებლად განხორციელებისა და დაფინანსების მიმღები სუბიექტებისთვის სამუშაო პროცესის გასამარტივებლად, აღნიშნული წესის ახალი ნორმებით დაიხვეწა აგრეთვე სხვადასხვა პროცედურული დეტალები, რომელთა მიზანი იყო პროექტების განხორციელების გზით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი განვითარების წახალისება.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/ რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესში შემავალი რიგი ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა და დარეგულირდა შემდეგი საკითხები: არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ცნება და ინფორმაციული სტანდარტები, გადაწყვეტილებების მიმღები სუბიექტები და მათი პასუხისმგებლობა, შემოსული დამატებითი მოთხოვნები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში კოორდინაციის გასაუმჯობესებლად. ცვლილებების თანახმად, კომპოზიციის განთავსების შემთხვევაში, განისაზღვრა აუცილებელი კონკრეტული ნებართვების ან რეკომენდაციების წარდგენა შესაბამისი უწყებებიდან, მოხდა

კონკრეტული უწყებების ჩართულობის ფორმალიზება და დაიხვეწა უწყებათაშორისი კოორდინაცია. წესის ახალი ნორმების გაჩენის მიზანი იყო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციებისა და მემორიალური დაფების განთავსების, გადაადგილებისა და შეთანხმების პროცესში წამოჭრილი სამართლებრივი და პროცესუალური დეტალების პრაქტიკულად ეფექტიანი რეგულირება, რაც აუცილებელია პროცესის სამართლებრივად წმინდად წარმართვისა და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

სხვადასხვა დროს გამართულ კომისიის სხდომებზე განვიხილეთ დედაქალაქის 2024-2025 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული საკითხები. რამდენადაც, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკისათვის პრიორიტეტია განათლებისა და კულტურის სფეროების მხარდაჭერა, დედაქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო შესაბამისი ასიგნებები - კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების წარმატებით განსახორციელებლად. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ზემოაღნიშნული სფეროების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების, პროფესიული განათლების და დასაქმების, მუზეუმების გაერთიანების, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების, სტუდენტთა დაფინანსების, ინკლუზიური ხელოვნების და განათლების, თეატრალური ხელოვნების განვითარების, სახელოვნებო განათლების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარებისა და სხვა. აღსანიშნავია ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა, კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები და სხვა.

დედაქალაქის აღმასრულებელ ორგანოსთან კოორდინაციით, საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებს უწყვეტად მოგვეწოდებოდა ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2025 წელს გაწეული საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ: დედაქალაქის მერიის ბიუჯეტ(ებ)ით დაფინანსებულ - განხორციელებულ და მიმდინარე პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე.

კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერის პოლიტიკის შენარჩუნების კუთხით აღსანიშნავია ხელოვნების სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა აგრეთვე მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანამედროვე სტანდარტებით ინვენტარიზაცია და მათი წიგნადი ფონდით შევსება.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მრავალი საგამოფენო, საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ღონისძიება, ფესტივალი და კონკურსი, საიუბილეო და შემოქმედებითი საღამო.

სამუზეუმო რეფორმისა და მოდერნიზების გზაზე წარმატებით განაგრძობდა საქმიანობას თბილისის მუზეუმების გაერთიანება, როგორც ქართული კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციის მხრივ, ასევე სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის, გამოფენების გამართვისა და სხვა მიმართულებებით.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუნიციპალური მუზეუმების სარეაბილიტაციო სამუშაოები და მათი ინვენტარით აღჭურვა. აღსანიშნავია, რომ დასრულდა მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - მუზეუმი აღიჭურვა უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, შეიქმნა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცე და ფონდსაცავი. თოჯინური ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით, დასრულდა თბილისის სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმის უნიკალური ექსპონატების საკრებულოს ისტორიულ შენობაში განსათავსებლად გამოყოფილი ფართის პროექტირების სამუშაოები - სამუზეუმო სივრცედ ადაპტაციისათვის.

საანგარიშო პერიოდში, დედაქალაქის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივითა და მხარდაჭერით, მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის შესახებ პირველი საცნობარო წიგნი გამოიცა, რომელიც მოიცავს 2018-2023 წლებში მახათას მთაზე დაკრძალული საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფიულ ცნობარს და წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და შენარჩუნების მიმართულებით. პროექტი განხორციელდა თბილისის მერიის პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ ფარგლებში.

გრძელდება სწავლის საფასურის დაფინანსება უმაღლესი განათლების მიმღები - სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტებისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), წარჩინებული მაგისტრანტებისათვის, ხოლო არაფორმალური განათლების სფეროში - ხელოვნების სხვადასხვა სკოლებში სასწავლო-შემოქმედებით პროცესებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და არამოთხოვნადი სპეციალობების მოსწავლეებისთვის.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა ავარიული ბაგა-ბაღების ჩანაცვლება, მათი გამაგრება-რეაბილიტაცია და აგრეთვე, ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისთვის გრძელდება დედაქალაქის მერიის ინიციატივით 2018 წლიდან ამოქმედებული პროფესიული მომზადება/გადამზადების და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა „ისწავლე და დასაქმდი“, რომლის ფარგლებში, პროფესიულ კოლეჯებში, იშვიათი და მოთხოვნადი პროფესიები ფინანსდება - თბილისში რეგისტრირებული, სამსახურის მაძიებელი მოქალაქეების პროფესიული მომზადება/გადამზადებისა და დასაქმების მიზნით.

განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სხდომების, სამუშაო და ოფიციალური შეხვედრების პარალელურად ჩართული ვიყავი კომისიის მიერ გამართულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და აქტივობებში.

საქმიანობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის რანგში

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებასა და კომისიის უფლებამოსილებაში შემავალი სხვა საკითხების განხილვას დაეთმო, რომელთა ინიცირებას, კანონმდებლობის შესაბამისად, ახდენდა როგორც კომისია, ასევე დაინტერესებული მხარე/მოქალაქე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საკითხების საჯარო განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას. საანგარიშო პერიოდში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ გამართული სხდომებიდან ჩართული ვიყავი 13 სხდომის მუშაობაში, შევისწავლე 155 საკითხი.

მიმდინარე წლიდან, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობის შედეგად, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული 96 გეოგრაფიული ობიექტი ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა - კულტურის, მეცნიერების, სპორტის, მედიცინის და სხვა სფეროს წარმომადგენელთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა და სხვა დამსახურებულ პიროვნებათა სახელებს ატარებენ.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, აგრეთვე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საომარ მოქმედებებში დაღუპულთა სახელები ეწოდა თბილისში არსებულ არაერთ გეოგრაფიულ ობიექტს, მათ შორის იყო: გიორგი წულაიას, ბაკურ ბექაურის, მიხეილ ქორიძის, გოგიტა კიკნაძის, ელგუჯა რუხაიას, ბადრი ჭინჭარაულის, მიხეილ გამკაძის, ბორის გრიგოლაშვილის, გელა ოჩიაურის, იზანი ცერცვაძის, ალბერტ ბალხამიშვილის სახელობის ქუჩები და სხვა.

საანგარიშო პერიოდში მოხდა არაერთი სკვერის სახელდება, მათ შორის: პოეტ ტერენტი გრანელის; კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეგნატე ფიფიას; მომაღერალ თამაზ სეფერთელაძის; 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული ექიმის ზურაბ ბეგიაშვილისა და სხვათა სახელობის.

თბილისში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტებს მიენიჭა: მწერალ მორის ფოცხიშვილის; პოეტ ზურაბ გორგილაძის; რეჟისორ თემურ ჩხეიძის; კინორეჟისორ ომარ გვალიას; დრამატურგის და მსახიობის, ავქსენტი ცაგარელის; მსახიობ ალეკო თეთრაშვილის; ეროვნული გმირის, კახეთის სახალხო აჯანყების ერთ-ერთი მეთაურისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანის, ბიძინა ჩოლოყაშვილის; პირველი ქართველი სამხედრო მფრინავის, ნიკოლოზ მაყაშვილის; საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრის, სამსონ დადიანის; საზოგადო მოღვაწეების - ივანე და ნინო პოლტორაცკების; ისტორიკოს გიორგი ბოჭორიძის; სახალხო არტისტის, მოცეკვავე ომარ მხეიძის; კალათბურთელ ვლადიმერ უგრეხელიძის; ხელბუთელ იმედო ფხაკაძის; აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის; მომღერლების: პეტრე ამირანაშვილისა და ვანო მჭედლიშვილის; მეცნიერისა და მთარგმენლის, გივი გაჩეჩილაძის და სხვათა სახელები.

საანგარიშო პერიოდში ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ე.წ თბილისი არენას მიენიჭა ვახტანგ გორგასლის III ხარისხისა და ღირსების ორდენის კავალერის, კალათბურთელ ოთარ ქორქიასა და სპორტის დამსახურებული ოსტატის, ღირსების ორდენის კავალერის, ევროპის ჩემპიონ ნოდარ ჯორჯიკიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლის სახელი.

როგორც ცნობილია, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლობასა და დედაქალაქის მერიის საგარეო ურთიერთობების განყოფილებასთან. თანამშრომლობის ფარგლებში, ხდება თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ობიექტების სახელდება უცხო ქვეყნებთან დაკავშირებული სახელებით, ნაცვალგების პრინციპით კი მოცემულ ქვეყანებში არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებს საქართველოსთან ან თბილისთან დაკავშირებული სახელი მიენიჭება. მნიშნელოვანია, რომ არაერთ ქვეყანაში უკვე მოეწყო სხვადასხვა სივრცე ქართული თემატიკით და პირიქით. ამ მიმართულებით სახელდების განხორციელების მიზნით, საანგარიშო პერიოდში კომისია აქტიურად აგრძელებდა მუშაობას დიპლომატიურ მისიებთან. როგორც ცნობილია, ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ერთ-ერთი მოედანი „თბილისის მოედნის“ სახელს ატარებს. ურუგვაისა და საქართველოს შორის მეგობრული კავშირებისა და ნაცვალგების პრინციპების გათვალისწინებით კი, საანგარიშო პერიოდში კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ისნის რაიონში, პეტრე ხვედელიძისა და შანდორ პეტეფის ქუჩებთან არსებული უსახელო მოედნისათვის მონტევიდეოს სახელის მინიჭების შესახებ.

ნაცვალგების პრინციპით მიენიჭა აგრეთვე სამგორის რაიონში, ე.წ. ვარკეთილის ცენტრალურ პარკს უზბეკი პოეტის, მოაზროვნის და სახელმწიფო მოღვაწის ალიშერ ნავოის სახელი. აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ, უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ერთ-ერთ მთავარ გამზირს მინიჭებული აქვს შოთა რუსთაველის სახელი, გამზირის მიმდებარედ არსებულ სკვერში კი შოთა რუსთაველის ძეგლია განთავსებული. რაც მორიგი მაგალითია საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით დიპლომატიური ურთიერთობებისა და მეგობრული კავშირების განმტკიცებისა.

კომისიის საქმიანობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში გაიხსნა კინოსა და თეატრის მსახიობის, ჯემალ ღაღანიძის სახელობის ქუჩა და ქართველი ექიმის, იოსებ ჟორდანიას სახელობის სკვერი.

აგრეთვე გაიხსნა თბილისის საქალაქო არქიტექტორის, ალექსანდრე შიმკევიჩის სახელობის ქუჩა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა დედაქალაქის იერსახის ჩამოყალიბებაში.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, აქტიურ კოორდინაციაში იყო შესაბამის სახელმწიფო სამსახურებთან, დედაქალაქის სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციასთან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. მიმდინარე წელს, კომისიის მიერ სახელმწიფო დროშის დღესა და სხვა ისტორიულ-სახელმწიფოებრივ თარიღთან დაკავშირებით, არაერთი აქტივობა გაიმართა.

საქმიანობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ წევრის რანგში

საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ სამუშაო პროცესში. წლის განმავლობაში ჩატარებული სხდომებიდან დავესწარი 14 სხდომას და შევისწავლე 25 საკითხი. მათ შორის იყო დედაქალაქის 2024-2025 წლების ბიუჯეტ(ებ)თან დაკავშირებული და საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვა საკითხები.

ზემოაღწერილი ანგარიში, ჩემ მიერ 2024-2025 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ, საჯაროდ წარვადგინე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

Digitally signed by Tinatin Nibloshvili
Date: 2025.10.28 13:59:54 +04'00'

თინათინ ნიბლოშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე